შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№22(9.932)

4 ივლისი-11 ივლისი 2020 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ალოობა 2020

„მარცვლეული კულტურების დაბალი მოსავლიანობა არასახარბიელო კლიმატურმა პირობებმა განაპირობა“

1 ივლისს, დედოფლისწყაროში ალოობის მიმდინარეობას სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი კახეთის მხარის გუბერნატორთან ირაკლი ქადაგიშვილთან, მუნიციპალიტეტის მერთან ნიკოლოზ ჯანიაშვილთან და მაჟორიტარ დეპუტატთან ირაკლი შიოლაშვილთან ერთად გაეცნო.

ისინი მარცვლეული კულტურის აღების პროცესს ადგილობრივი ფერმერის, გურამ ნატროშვილის ყანაში დაესწრნენ. როგორც ფერმერები აღნიშნავენ, წელს ხორბლის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე შეადგენს 1.5-2.5 ტონას. „მარცვლეული კულტურების დაბალი მოსავლიანობა არასახარბიელო კლიმატურმა პირობებმა განაპირობა- გვალვიანმა ზამთარმა და აპრილში ყინვამ ხორბლისა და ქერის ნათესები მნიშვნელოვნად დააზარალა“-განაცხადა გურამ ნატროშვილმა.

/გაგრძელება გვ.3/

C M Y K

რისკ-ჯგუფების ტესტირება დაიწყო

საქართველოში, 4 ივლისის მონაცემებით, კორონავირუსით ინფიცირების შემთხვევათა რაოდენობა 4-ით გაიზარდა და 943 გახდა. ამის შესახებ ინფორმაცია მთავრობის მიერ შექმნილ სპეციალურ ვებ-გვერდზე stopcov.ge-ზე არის განთავსებული. გამოჯანმრთელებულთა რაოდენობაც 4-ით გაიზარდა და 821 გახდა. კარანტინის რეჟიმშია 3080 ადამიანი, ხოლო სტაციონარში მეთვალყურეობის ქვეშ 242 პირი. ქვეყანაში კორონავირუსით 15 ადამიანი გარდაიცვალა. ამასთან, უცხოეთიდან სამკურნალოდ გადმოყვანილია საქართველოს 3 მოქალაქე.

დედოფლისწყაროში ეპიდემიოლოგიური სიტუაცია კვლავ სტაბილურია. დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელის მარიეტა გონაშვილის განცხადებით, **„დაიწყო რისკ-ჯგუფებში შემავალი სამსახურების თანამშრომელთა ტესტირება. 3 ივლისს აიღეს 19 ნიმუში სამედიცინო დაწესებულების თანამშრომლებისგან და ისინი გაიგზავნა ლუგარის ლაბორატორიაში. მათი პასუხები უახლოეს დღეებში იქნება ცნობილი. ტესტირების პროცესი გაგრძლედება.“**

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის კახეთის რეგიონალური ცენტრის ხელმძღვანელის, ნელი ხარაზიშვილის ინფორმაციით, “კახეთის რეგიონში თვითიზოლაციაში იმყოფება 7 მოქალაქე. რაც შეეხება კარანტინის სივრცეებს, 3 ლოკაციაზე იმყოფება 97 მოქალაქე. უკვე დაიწყო და მიმდინარეობს 15 ივნისს მიღებული საქართველოს მთავრობის განკარგულება № 975-ის შესაბამისად განსაზღვრული სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებული პრიორიტეტული პირების ტესტირება. კახეთის რეგიონში თვის განმავლობაში დაგეგმილია 8000-დან 9000-მდე ტესტირების ჩატარება.

რაც შეეხება სოფელ ყარაჯალის 2 დადასტურებულ შემთხვევას, ეპიდკვლევა გაგრძელდა, რის შედეგადაც გამოიკვეთა ახალი გარემოებები. კარანტინში გადაყვანილი იქნა 2 პირი, თვითიზოლაციაში 5 პირი. 13 კონტაქტირებულ პირს ჩაუტარდა პირველადი ტესტირება. ტესტირების შედეგები ყველა უარყოფითია. 5 ივლისს იწურება 14 დღიანი კარანტინის და თვითიზოლაციის ვადა. ყველა კონტაქტს 4 ივლისს ჩაუტარდება საბოლოო ტესტირება. 2 ივლისს აღებული და გაგზავნილი იქნა ლუგარის ცენტრში 136 ნიმუში. ყველა ნიმუშის ტესტირების შედეგი ნეგატიურია.

სულ კახეთის რეგიონში, 3 ივლისის მდგომარეობით, აღებული და ლუგარის ცენტრში გაგზავნილია 6385 ნიმუში, აქედან 2386 მედპერსონალია, 1976 კარანტინის ვიზიტორების და სასტუმროს პერსონალი, შშმ პირი - 268, ტრაილერის მძღოლი -35, საქალაქო ტრანსპორტის მძღოლი -45“.

70 წელს ზემოთ ასაკის პენსიონერებისთვის პენსია გაიზარდა

პირველი ივლისიდან 70 წელს ზემოთ ასაკის პენსიონერებისთვის პენსია 30 ლარით იზრდება და 250 ლარი ხდება. საქართველოს მთავრობის ინფორმაციით, გაზრდილი პენსიით ისარგებლებს დაახლოებით 410 ათასზე მეტი პენსიონერი.

ამასთან, მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები 70 წელს ზემოთ ასაკის პენსიონერებისთვის კი, პენსია 300 ლარი იქნება, ვინაიდან **„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ კანონის თანახმად, მთაში მცხოვრებ საპენსიო ასაკს მიღწეულ პირებს ეძლევათ ყოველთვიური დანამატი სახელმწიფო პენსიის 20 პროცენტის ოდენობით.**

მთავრობაში განმარტავენ, რომ **2021 წლის იანვრიდან იგეგმება პენსიების ინდექსაციის წესის შემოღება, რომლის მიხედვით: ყველა პენსიონერის პენსია გაიზრდება არანაკლებ ინფლაციის მაჩვენებლისა, ანუ ფასების ზრდა გავლენას ველარ მოახდენს რეალური პენსიის მოცულობაზე; 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერებისთვის ინფლაციას დაემატება რეალური ეკონომიკური ზრდის 80 პროცენტი, ანუ პენსიის ყოველწლიური ზრდა იქნება ინფლაციაზე მაღალი; მიუხედავად ინფლაციისა და ეკონომიკური ზრდის პარამეტრებისა, პენსიის ზრდა არ იქნება 20 ლარზე ნაკლები, ხოლო 70 წლისა და უფრო მაღალი ასაკის პენსიონერებისთვის 25 ლარზე ნაკლები.**

აბიტურიენტს გამოცდაზე პირბადის მოხსნის შესაძლებლობა ექნება

მთავრობის გადაწყვეტილებით, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აბიტურიენტებს პირბადის მოხსნის შესაძლებლობა ექნებათ. აღნიშნულის შესახებ გიორგი გახარიამ მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მისი თქმით, ეს გადაწყვეტილება ჯანდაცვის სექტორის წარმომადგენლებსა და ეპიდემიოლოგებთან კონსულტაციების შემდეგ მიიღეს.

„აბიტურიენტი აუცილებლად პირბადით უნდა მივიდეს თავის საგამოცდო ადგილზე. მერხთან იქნება დეზობარიერი, გამოცდის ჩაბარების პერიოდში შესაძლებლობა მიეცემა, პირბადე მოიხსნას, რადგან იქ დისტანცია დაცული იქნება. რა თქმა უნდა, ფანჯრები ყველგან უნდა იყოს ღია. იმ შემთხვევაში, თუ საგამოცდო ოთახში ტემპერატურა ავა 30 გრადუსამდე, შესაძლებელი იქნება კონდიციონერების ჩართვა. ეს რეკომენდაციები ჩვენ ასევე მიღებული გვაქვს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისგან და ფაქტობრივად, ჩვენ სრულად კომფორტულ გარემოს შევუქმნით შეძლებისდაგვარად ჩვენს აბიტურიენტებს იმისთვის, რომ მაქსიმალურად გამოავლინონ თავიანთი ცოდნა და ეფექტურად ჩააბარონ ეს გამოცდები”, -განაცხადა პრემიერმა.

ცნობისთვის, ერთიანი ეროვნული გამოცდები 6-25 ივლისს ჩატარდება.

გამარჯვებაში გზის რეაბილიტაცია სრულდება

სოფელ გამარჯვებაში ე.წ. „სულაანთ უბნის ‘’ გზის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები დასკვნით ეტაპზეა.

მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან, პავლე თავაძესთან და გამარჯვებაში მერის წარმომადგენელთან ზვიად ზვიადაურთან ერთად დაათვალიერა.

პროექტის ფარგლებში მოეწყო რკინა-ბეტონის ანაკრები ღარი, ამ ეტაპზე კი აღნიშნული გზის სრული მონაკვეთის მოასფალტება მიმდინარეობს.

სამუშაოები უახლოეს დღეებში დასრულდება, მისი ღირებულება 317 608 ლარს შეადგენს.

საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა მიმდინარეობს ასევე სოფელ ზემო მაჩხაანსა და ქ. დედოფლისწყაროში, ხოლო უახლოეს პერიოდში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები ქვემო ქედში, სამრეკლოსა და არბოშიკში დაიწყება.

მაისში საქართველოს ეკონომიკა 13.5%-ით შემცირდა

წინასწარი შეფასებით, მაისში საქართველოს ეკონომიკა 13.5%-ით შემცირდა. ამის შესახებ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელმა დირექტორმა გოგიტა თოდრაძემ განაცხადა.

მისივე ინფორმაციით, იანვარ-მაისის საშუალო რეალური ზრდა უარყოფითია და -5.4%-ს შეადგენს.

„წინასწარი შეფასებით, მაისში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა გარკვეულწილად შენელდა და სახეზე გვაქვს ეკონომიკის 13.5%-იანი შემცირება. შესაბამისად, პირველი 5 თვის საშუალო რეალური ზრდა -5.4%-ია“, - აღნიშნა თოდრაძემ.

მისივე თქმით, 2020 წლის მაისში განსაკუთრებით აღსანიშნავია შემცირება მშენებლობის, ვაჭრობის, ტრანსპორტის, სასტუმროებისა და რესტორნების, უძრავი ქონებით ოპერაციების, ასევე ხელოვნების, გართობის და დასვენების სექტორებში. **„ექსპორტის მაჩვენებელი დაახლოებით 30%-ით შემცირდა, 35%-ითაა შემცირებული იმპორტის მაჩვენებელი. მაისში ქვეყანაში 3200-მდე ახალი საწარმო დარეგისტრირდა, რაც დაახლოებით 33%-ით ჩამორჩება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს,”**-განაცხადა გოგიტა თოდრაძემ.

პროგრამაში „დანერგე მომავალი“ ცვლილებები შედის

მთავრობის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, პროგრამაში **„დანერგე მომავალი“** ცვლილებები შევიდა.

ცვლილებები მოიცავს **„სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების და ჭის/ჭაბურღილის/ წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის თანადაფინანსების“** და **„სანერგე მეურნეობის თანადაფინანსების“** კომპონენტებს.

ცვლილებების თანახმად, პროგრამას დაემატა **წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის დაფინანსება უკვე არსებულ ისეთ მრავალწლოვან ბაღებში, რომელიც პროგრამის სტანდარტით არის გაშენებული. დაფინანსების მოცულობა შეადგენს ღირებულების 50%-ს, მაგრამ არაუმეტეს 1250 ლარს ყოველ 0.5 ჰა-ზე გადაანგარიშებით.**

ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა პროგრამის სანერგე მეურნეობის თანადაფინანსების კომპონენტი. სააგენტო ფინანსურ დახმარებას გაუწევს ახალი სანერგე მეურნეობების შექმნას ან/და არსებული სანერგე მეურნეობების მოდერნიზება/გაფართოებას. თანადაფინანსება გაიცემა მხოლოდ იმ სანერგე მეურნეობებზე, რომლებიც შეისყიდიან საბაზისო კატეგორიის სარგავ მასალას სადედე ბაღის მოსაწყობად ან/და მცენარეთა ინ ვიტრო ლაბორატორიებს გასამრავლებელი მასალის საწარმოებლად. ამავე კომპონენტის ფარგლებში, **განისაზღვრა კვალიფიციური სანერგე მეურნეობებისათვის მოთხოვნები - მრავალწლიანი კულტურების (გარდა ვაზისა) ჯიში, რომლის გამრავლებაც მოხდება, რეგისტრირებული უნდა იყოს ეროვნულ კატალოგში, ევროპის კატალოგში ან იმ ქვეყნის კატალოგში, სადაც ჯიში იქნა გამოყვანილი, რასაც ცნობის სახით დაადასტურებს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი; ამასთან, გაცემულ ცნობაში მითითებული უნდა იყოს, თუ არის დაგეგმილი „დაცული“ ჯიშის გამრავლება.**

ალოობა 2020

/პირველი გვერდიდან/

„მოსავლის აღება და დაბინავება შეუფერხებლად ხორციელდება. კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, წელს, წინა წელთან შედარებით, მოსავალი უფრო ნაკლებია. მოთხოვნა არის როგორც ქერზე, ისე ხორბალზე; ქერის ფასი 65 თეთრია, ხორბლის - 60 თეთრზე მეტი. ეს არის ყველაზე მაღალი ფასი, რაც წინა წლების ანალოგიურ პერიოდში, მოსავლის აღების პერიოდში ფიქსირდებოდა. შესაბამისად, წელს ფერმერებისთვის ეკონომიკურად საინტერესო წელია. ვფიქრობ, სეზონი იქნება წარმატებული, რაც იმის დასტურია, რომ დარგი ვითარდება", - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

როგორც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა აღნიშნა, უკვე მეორე წელია, რაც კომბაინების რაოდენობა საკმარისია იმისათვის, რომ ხორბლის და ქერის აღება და დაბინავება უპრობლემოდ მოხდეს.

„კახეთის რეგიონში თავთავიანი კულტურის მოსავლის აღების სამუშაოები 15 ივნისიდან დაიწყო და შეუფერხებლად, აგროვადების დაცვით მიმდინარეობს. ნათეს ფართობებზე მოსავლის აღების პროცესში აქტიურადაა ჩართული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის ლოგისტიკის და სერვისების კომპანიის 100 ერთეული კომბაინი. კახეთის რეგიონში ხორბლის ნათესი ფართობები 71, 000-მდე ჰექტარს, ხოლო ქერის - 22,000ჰა-ზე მეტს შეადგენს, ხოლო ქვეყნის მასშტაბით, ხორბლის ნათესი ფართობები 50 ათასი ჰექტარი, ქერის კი - 27 ათასი ჰექტარია. წელს ხორბლის საპროგნოზო მაჩვენებელი 150 ათასი ტონა, ქერის კი 70-80 ათასი ტონაა".

დედოფლისწყაროში მინისტრთან და მხარის რწმუნებულთან ერთად იმყოფებოდნენ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ხანიშვილი, აგრარული კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ დანელია, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს დირექტორი ილია თამარაშვილი.

მოსავლის აღების შემდეგ მინისტრი ფერმერებს შეხვდა. შეხვედრა დიალოგის რეჟიმში წარიმართა. ფერმერების ძირითადი მოთხოვნა საწვავზე სახელმწიფო კონტროლის დაწესების საკითხი იყო. ლევან დავითაშვილი ფერმერებს დაპირდა, რომ საწვავზე კონტროლი გამკაცრდება და ისინი ფულს ხარისხიან დიზელის საწვავში გადაიხდიან.

ინგა შიოლაშვილი

რთველი-გამოწვევა სახელმწიფოსთვის და მევენახეებისთვის

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის განცხადებით, წელს მევენახეები სერიოზული გამოწვევის წინაშე დგანან.

ლევან დავითაშვილი: „ღვინის ინდუსტრიისთვის წლევანდელი სეზონი საკმაოდ რთული იქნება. მიუხედავად გამოწვევებისა, რთველი იქნება კარგად ორგანიზებული, არც ერთ ფერმერს ყურძნის ჩაბარების პრობლემა არ ექნება"

„არაერთი განცხადება გავაკეთეთ, რომ ღვინის ინდუსტრიისთვის საკმაოდ რთული იქნება წლევანდელი სეზონი. ღვინის ინდუსტრია დაზარალდა არამხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ გლობალურად, მთელ მსოფლიოში. ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, სახელმწიფოს მხრიდან ლოგიკური და პასუხისმგებლიანია ის გადაწყვეტილება, რომელიც მივიღეთ. ინსტრუმენტი, რომელმაც ბევრი წლის განმავლობაში ძალიან კარგად იმუშავა, ხელახლა ამოქმედდა.

შეღავათიან აგროკრედიტში არის ცალკე მიმართულება, რომელიც ითვალისწინებს როგორც კაპიტალური ხარჯების საკრედიტო დაფინანსების შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან პროცენტის სუბსიდირებას, ასევე, გულისხმობს საბრუნავი საშუალებების პროცენტის თანადაფინანსებას, რაც ღვინის მწარმოებელ კომპანიებს უიაფებს საბრუნავ საშუალებებს, შესაბამისად, მათ მეტი ლიკვიდურობა უჩნდებათ, უჩნდებათ მეტი საშუალება იმისათვის, რომ რთველს მომზადებული შეხვდნენ და მეტი ყურძნის მეტ ფასად შეძენა შეძლონ ჩვენი მევენახეებისგან.

კომპანიებს საშუალება ეძლევათ, ღვინის წარმოებისთვის 15 თვით მიიღონ შეღავათიანი კრედიტი, ხოლო თუ გრძელვადიან პროდუქტს, სპირტს აწარმოებენ, მიიღონ 3 წლით თანადაფინანსება სახელმწიფოს მხრიდან.

აღნიშნული გაზრდის კერძო სექტორის მოთხოვნას და მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რთველის ღონისძიებებს და მის წარმატებით ჩატარებას.

წელს გვიწევს სუბსიდირება და ეს არის სახელმწიფოს მხრიდან პასუხისმგებლიანი, სწორი გადაწყვეტილება, რომ ფერმერები

არ დავტოვოთ პრობლემის წინაშე მარტო. მცირე მოთხოვნის და ჭარბი მოსავლის პირობებში, რქაწითელის შემთხვევაში, სექტორს სჭირდება გარკვეული ინტერვენციები ფერმერების ინტერესების დასაცავად. მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსებია გამოყოფილი.

მინდა განვაცხადო, რომ ჩვენი ხელისუფლების პირობებში, 2013 წლიდან მოყოლებული ყველა რთველმა ჩაიარა წარმატებით და შეფერხებების გარეშე. არსად, არანაირად ჩაბარების პრობლემა არ ყოფილა. არც 2020 წელს, არც ერთ ფერმერს ყურძნის ჩაბარების პრობლემა არ ექნება. ბევრი ცდილობს ამ თემით სპეკულირებას, პოლიტიკურადაც, ფერმერების დაძაბვას და ისეთი სიტუაციის წარმოჩენას, თითქოს ფერმერები მიტოვებული არიან.

ამას ის ადამიანები ცდილობენ, ვინც, ხშირ შემთხვევაში, თვითონ იყვნენ დამნაშავეები პრობლემების შექმნაში, რომელიც ფერმერებს ექმნებოდათ წლიდან წლამდე. მიუხედავად გამოწვევებისა, ყველაფერი მოგვარდება, საკმარისი ჭურჭელიც იქნება, რთველი იქნება კარგად ორგანიზებული, დამატებითი ელემენტები იქნება გაწერილი მთავრობის დადგენილებაში. ჩვენი პოლიტიკა თანმიმდევრულია. **დაახლოებით 300 ათას ტონა მოსავალს ველოდებით, რომელსაც დავაბინავებთ. გამოწვევები ძალიან ბევრია, თუმცა, მთავრობის პასუხისმგებლობაა, რომ ამ გამოწვევებს გაუმკლავდეთ,** "-განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა.

საქართველოს ხელისუფლება ბიზნესის დახმარების ხელშეწყობის პაკეტს აფართოებს. როგორც პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, სოფლის მეურნეობის სამინისტრო ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამებს აფართოებს და არსებულ დარგებს ყურძნის გადამუშავებაც ემატება. მისივე განცხადებით, ეს იქნება ეფექტური მხარდაჭერის პაკეტი მევენახეებისთვის.

„ჩვენ განვიხილავთ ცვლილებებს სოფლის მეურნეობის პროგრამებში. ამ ცვლილების მიზანი გახლავთ ის, რომ ადგილობრივი წარმოების მხარდასაჭერად, სოფლის მეურნეობის სამინისტრო ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამებს აფართოებს და შეჰყავს ახალი დარგები. ისეთი, როგორიც არის თხილის გადამუშავება, ჩაის წარმოება, სასურსათო წარმოება, დამატებული იქნება ყურძნის გადამუშავებაც. მოგეხსენებათ, რთველის პერიოდი მოდის, ამაზე ჩვენ შემდეგ მთავრობის სხდომაზე ვიმსჯელებთ. ჩვენს მევენახეებს ისევე, როგორც სხვა სექტორებს, ჩვენ ანტიკრიზისული დახმარება გავუწიეთ, რაზეც შემდეგ მთავრობის სხდომაზე ვიმსჯელებთ. ეს იქნება ეფექტური მხარდაჭერის პაკეტი, ჩვენი მევენახეებისთვის", - განაცხადა გიორგი გახარიამ.

ბარათების ევოლუცია – ანუ როგორ იქცა სამეცნიერო ფანტასტიკა რეალობად

ARსებობის მანძილზე ფულმა, როგორც რესურსების გაცვლა-გამოცვლის საშუალებამ მრავალი ცვლილება განიცადა. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ საგადასახადო ბარათებმა სრულიად შეცვალა გზა, რომლითაც ჩვენ პროდუქტებსა და სერვისებს ვყიდულობთ. დღეს მომხმარებლების დიდი ნაწილი გადახდების ნახევარზე მეტს სწორედ ამ მეთოდით ახორციელებს.

ათწლეულების განმავლობაში განვითარების დიდი გზა გაიარა ბარათებმაც და დღეს უკვე მისი ციფრული ფორმით სარგებლობაც შეგვიძლია. სანამ საბანკო ბარათების ევოლუციაზე მოგიყვებოდეთ, გეტყვით, რომ ახლახან საქართველოს ბანკმა ინოვაციური პროდუქტი – ციფრული ბარათი წარადგინა. ციფრული ბარათები თავისი სიმარტივის გამო მსოფლიოში საკმაოდ პოპულარულია.

ციფრულ ბარათს ფიზიკური ბარათის იდენტური შესაძლებლობები აქვს, უბრალოდ ის არა საფულეში, არამედ თქვენს მობილურში ცხოვრობს.

თუ თქვენ აიფონის მომხმარებელი ხართ, ციფრულ ბარათს Apple Walletში დაამატებთ, ანდროიდის შემთხვევაში კი TSKAPP აპლიკაციაში. მისი საშუალებით ბანკომატიდან თანხის გამოტანასაც შეძლებთ, ტრანსპორტით მგზავრობასაც, მაღაზიებში გადახდასაც და, რაც მთავარია, ბარათს ონლაინ ვაჭრობისთვისაც თავისუფლად გამოიყენებთ. თანაც, ის მულტისავალუტოა.

ციფრულ ბარათს პირდაპირ მობაილბანკიდან ან ინტერნეტბანკიდან შეუკვეთავთ, ამ დროს სურვილისამებრ შეგიძლიათ აირჩიოთ VISA ან MasterCard და ისიც, რა ტიპის ბარათი გსურთ – Classic, Gold თუ სხვა. რა თქმა უნდა, ფილიალში მისვლა საჭირო არ არის, ბარათის გამოყენებას აღებისთანავე, წამებში შეძლებ.

გადახდებისთვის ბარათის გამოყენების კონცეფცია პირველად 1887 წელს სამეცნიერო ფანტასტიკაში, ედუარდ ბელამის უტოპიურ ნოველაში გაჩნდა, რომელსაც „მზერა უკან “ ეწოდება. ნაწარმოები 1800-იან წლებში შეიქმნა და ის აღწერს მეცხრამეტე საუკუნეში მცხოვრები კაცის თავგადასავალს, რომელიც თავს ოცდამეერთე საუკუნეში ამოყოფს და აღმოაჩენს, რომ სამყარო სავაჭრო ცენტრებითა და საკრედითო ბარათებითაა სავსე. ეს ყველაფერი წიგნის დაწერის დროს, რა თქმა უნდა, არ არსებობდა.

განვლილი გზა

ყველაფერი 1950 წელს დაიწყო,



როდესაც რალფ შნეიდერმა და ფრენკ მაკნამარმა Diners Club-ის ბარათი შექმნეს, რომელიც არც მეტი, არც ნაკლები, მუყაოსგან იყო დამზადებული. მისი გამოყენება გართობისა და მოგზაურობის მიზნით შეიძლებოდა. ათი წლის შემდეგ Diners Club-ს უკვე 10,000-ზე მეტი წევრი ჰყავდა – ყველა მათგანი მაღალი რანგის ბიზნესმენი. ბარათის სტატუსის აღმნიშვნელი სიმბოლო იყო და მისი წყალობით, ბიზნესმენებს დიდი რაოდენობით ქეშის ტარება აღარ უწევდათ, ამ დროისთვის მისი გამოყენება 28 რესტორანში და ორ სასტუმროში შეიძლებოდა. პირველად, ამ კომპანიამ შეძლო დაერწმუნებინა მაღაზიები და სხვადასხვა სახის ბიზნესი, რომ ბარათები გაყიდვებს წაახალისებდა.

1958 წელს American Express-ის პირველი პლასტიკური ბარათი შეიქმნა. მას მალევე მოჰყვა პირველი თანამედროვე საკრედიტო ბარათიც, რომელიც Bank of America-მ დაამზადა, ის მოგვიანებით Visa-დ გადაიქცა. ამ უკანასკნელს მალევე გამოუჩნდა კონკურენტიც, რომელსაც დღეს MasterCard-ის სახელით ვიცნობთ.

პირველი ბარათი მაგნიტური ზოლით

1970-იანების დასაწყისში ბაზარზე მაგნიტური ზოლის მქონე ბარათები გამოჩნდა. ამ ეპოქაში მაგნიტური მახსოვრობა ინფორმაციის შენახვის ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული მეთოდი იყო, თუმცა ინჟინრები პლასტიკურ ბარათზე მონაცემების ამ ფორმით დატანას დიდი ხნის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდნენ.

კომპანია IBM-ის ინჟინერი ფორესტ პერი ამ საკითხზე აქტიურად მუშაობდა, თუმცა სათანადო შედეგს ვერ აღწევდა, რადგან წებო, რომლითაც ისინი მაგნიტური ზოლის ბარათზე მიმაგრებას ცდილობდნენ, მონაცემებს ხშირად გამოუსადეგარს ხდიდა. ერთ დღეს, ფორესტ პერი ლაბორატორიიდან სახლში დაბრუნდა, ერთ ხელში პლასტიკური ბარათით, მეორეში კი მაგნიტური ლენტით. სახლში დაბრუნებული შეესწრო, როგორ აუთოებდა მისი ცოლი ტანსაცმელს. ფორესტმა მას წარუმატებელი ცდების შესახებ მოუყვა, მის ცოლს კი გაუჩნდა იდეა, რომ მაგნიტური ლენტი ბარათზე უთოთი მიემაგრებინა. იდეამ გაამართლა.

დროთა განმავლობაში ტექნოლოგიის დახვეწასთან ერთად ვითარდებოდა ბარათების ინდუსტრიაც, 1990-იანებში „ჭკვიანი” სადებეტო და საკრედიტო ბარათები გაჩნდა, 2000 წლიდან კი ის ნელ-ნელა სხვადასხვა ქვეყანაში დაინერგა. ჭკვიან ბარათებში ელექტრონული ჩიპია ჩამონტაჟებული, რომელსაც მონაცემების დამუშავება, ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა და დამახსოვრება შეუძლია.

აღნიშნული ბარათები უფრო უსაფრთხო და მეტად დაცულია. მათი თითქმის ყოველი გამოყენებისას პინ კოდის შეყვანაა საჭირო. გვიანი 2000 წლებიდან ნელ-ნელა ფართოდ დაინერგა უკონტაქტო გადახდაც. ეს მეთოდი განსაკუთრებით ხელსაყრელი ამჟამინდელი პანდემიისას გამოდგა, როდესაც კონტაქტების შემცირება უდიდესი მნიშვნელობისაა.

ბოლავალი ციფრულია

ფაქტია, რომ ქაღალდის ფულის პოპულარობა ნელ-ნელა იკლებს და მას ციფრული ალტერნატივები ანაცვლებს. ამის კარგი მაგალითია ევროპა, უფრო კონკრეტულად კი შვედეთი, სადაც ქვეყნის მშპ-ში ქაღალდის ფული 1 პროცენტზე ნაკლებითაა წარმოდგენილი. ეს მსოფლიოში ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. გარდა ამისა, შვედეთში, გამოკითხულთა 40%-ზე მეტი აცხადებს, რომ ბოლო ერთი თვის განმავლობაში მათ ქაღალდის ფული არ გამოუყენებიათ. ყოველი 5 გადახდიდან 4 კი ელექტრონულად ხორციელდება.

ფაქტია, რომ ტექნოლოგიების განვითარება ცხოვრების კიდევ უფრო გამარტივების საშუალებას გვაძლევს. ახლა უკვე აღარაა საჭირო, რომ ბარათებით დატვირთული საფულე მუდამ თან ვატაროთ. ახლა ამისთვის ერთი მოწყობილობა გვაქვს – ეს ჩვენი მობილურია.

პლასტიკური ბარათები – დადებითი და უარყოფითი მხარეები

თანამედროვე სამყაროში მომხმარებლები აქტიურად მიმართავენ უნაღდო ანგარიშსწორებას, რათა მარტივად შეიძინონ სასურველი ნივთი. დღესდღეობით, ნაღდი ფულის ტარება უკვე აღარ არის საჭირო, რადგან სადებეტო ან საკრედიტო ტიპის ბარათებით გაცილებით კომფორტულია ანგარიშსწორება. ამასთან, POS ტერმინალის საშუალებით ტრანზაქციის განხორციელება სწრაფად და უსაფრთხოდ ხდება. რა ტიპის ბარათებით შეგვიძლია სარგებლობა და რა უპირატესობები აქვს უნაღდო ანგარიშსწორებას?

ARსებობს 2 სახის პლასტიკური ბარათი: სადებეტო და საკრედიტო.

სადებეტო ბარათები ხელფასის ჩარიცხვისთვის, გადარიცხვების ან ანგარიშსწორებისთვის გამოიყენება. მასზე მომხმარებლის პირადი თანხაა განთავსებული. ბარათის საშუალებით გაცილებით მარტივად ხდება საჭირო ნივთის შეძენა ინტერნეტში ან სავაჭრო ობიექტში. შესაძლებელია გადარიცხვების განხორციელება ინტერნეტ ბანკით.

საკრედიტო ბარათის ასაღებად საჭიროა შემოსავლების დადასტურება, რადგან მასზე ბანკის თანხაა განთავსებული. მომხმარებელს დამტკიცებული საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში შეუძლია თანხის დახარჯვა. საკრედიტო ბარათს ძირითადად გადახდებისთვის იყენებენ, რადგან განაღდების საკომისიო გაცილებით მაღალია, სადებეტო ბარათებთან შედარებით.

საკრედიტო და სადებეტო ბარათები. დადებითი და უარყოფითი მხარეები

საკრედიტო ბარათების უმეტესობას აქვს საშეღავათო პერიოდი, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ მომხმარებელი ამ ვადაში დაფარავს ბარათიდან დახარჯულ თანხას, მას არ მოუწევს პროცენტის გადახდა ბანკისთვის. პროდუქტის ერთ-ერთი უპირატესობა საბონუსე სისტემაა, რაც შეიძლება მოიცავდეს დაზღვევას, ფასდაკლებას სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში ან დაგროვების პროგრამას. ბარათის მფლობელები სარგებლობენ სპეციალური პრივილეგიებით, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

საკრედიტო ბარათების განაღდების საკომისიო მაღალია. ამასთან, შეზღუდულია თანხის გადარიცხვა. თუ ამ პროდუქტით სარგებლობთ, უმჯობესია არსებული ლიმიტი გადახდებით აითვისოთ და თანხა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გაანაღდოთ.

სადებეტო ბარათი საშუალებას გაძლევთ საკუთარი თანხები მარტივად განკარგოთ. მოახდინოთ ანგარიშსწორება მაღაზიებში, სავაჭრო ობიექტებში. ზოგიერთი ტიპის ბარათზე ხდება ქულების დაგროვება და მისი გადაცვლა სხვადასხვა მომსახურებებში.

რა უნდა ვიცოდეთ უნაღდო ანგარიშსწორებისას?

ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, მომხმარებელთა დიდი ნაწილი მიმართავს უნაღდო ანგარიშსწორებას. რა უნდა ვიცოდეთ უნაღდო ანგარიშსწორებისას? ბარათით გადახდა უსაფრთხოა და ნაკლებია თანხის დაკარგვის რისკი. თუ ბარათი დაკარგეთ, მარტივად შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ბანკს და დაბლოკოთ. ამასთან, საბანკო სექტორი უკვე აქტიურად გვთავაზობს ბარათების დაზღვევას, რაც გულისხმობს არალეგალური გამოყენების შემთხვევაში ზარალის ანაზღაურებას. ბევრ საკრედიტო ბარათებს დაზღვევა ავტომატურად მოყვება, თუმცა სადებეტო ბარათის შემთხვევაში საჭიროა მისი გააქტიურება. ბარათებზე დაწესებულია ბანკომატიდან თანხის განაღდების დღიური ლიმიტი. ხშირად ლიმიტი 1500 ლარს შეადგენს. მეტი თანხის გამოსატანად შეგიძლიათ მიმართოთ ფილიალს.

ბარათს აქვს ანგარიშის მომსახურების და განაღდების საკომისიო. სადებეტო ბარათების შემთხვევაში ის 0.2%-ს შეადგენს. თუ სახელფასო პროგრამის ფარგლებში შეღავათებით სარგებლობთ, შესაძლოა აღნიშნული ხარჯი არ გქონდეთ. თუმცა თუ არაპარტნიორი ბანკის ბანკომატიდან გამოგაქვთ თანხა საკომისიო 2%-ს აღწევს. თუ ისეთი ბარათი გაქვთ, რომელსაც არ იყენებთ, მიმართეთ ბანკს და გააუქმეთ ანგარიში, რათა არ დაგიგროვდეთ დავალიანება.

ბარათების გამოყენებისას მნიშვნელოვანია დაიცვათ უსაფრთხოება, არავის არ გაანდოთ ბარათის ნომერი ან პინ კოდი!

გვერდი მოამზადა
ხათუნა ბენაშვილმა

შიდა ტურიზმი ქვეყნის ეკონომიკის გასაძლიერებლად

2020 წელი ახალი კორონავირუსის გამო მნიშვნელოვანი გაურკვევლობით დაიწყო. ქვეყანაში გლობალურ და რეგიონულ შოკებთან გამკლავების ბევრი გეგმა არსებობს, მათ შორის შიდა ტურიზმის სწრაფი განვითარება და ყველაზე აქტიურ ფაზაში გადასვლაა.

ტურიზმი წლების განმავლობაში ქართული ეკონომიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგი იყო და მთავრობის მხრიდან მისი მასტიმულირებელი არაერთი ღონისძიება გატარებულა. ტურიზმს, მართლაც განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია ქვეყნისთვის, ვინაიდან საქართველო გამოირჩევა ლამაზი ბუნებით, ისტორიული შენობა-ნაგებობებით, მრავალმხრივი ლანდშაფტითა და სტუმართმოყვარე ხალხით. ტურიზმის წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში 6%-დან 7%-მდე მერყეობს, რაც ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი შემოსავალია. განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება საერთაშორისო ტურიზმს, რადგან ის საერთაშორისო ვალუტის შემოდინების მნიშვნელოვანი წყაროა და ეროვნული ვალუტის გაუფასურების ზეწოლას ამცირებს. თუმცა, ქვეყნისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია შიდა ტურიზმიც. საერთაშორისო ტურიზმისგან განსხვავებით, შიდა ტურიზმის მიმართულებები ახლო მანძილით გამოირჩევა და ხასიათდება ქცევის განმეორებითობით. შიდა ტურისტებმა საერთაშორისო ტურისტებისგან განსხვავებით იციან მასპინძელი ადგილის კულტურა, კლიმატი და სასაუბრო ენა. ადგილმდებარეობის სიახლოვის გამო, შიდა ტურიზმის შემთხვევაში ძირითადად სახმელეთო ტრანსპორტი გამოიყენება, რაც ამცირებს დროისა და ვიზიტის ხარჯებს. შიდა ტურიზმი საერთაშორისო ტურიზმისგან განსხვავებით ნაკლებად ხასიათდება სეზონურობით და ხელს უწყობს შემოსავლების გადანაწილებას ქალაქისა და სოფლის დასახლებებს შორის. შიდა ტურიზმი ასევე ნაკლებად მგრძნობიარეა მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური შოკებისა და კრიზისების მიმართ. რედაქცია დაინტერესდა, რა აზრისაა ჩვენი საზოგადოება შიდა ტურიზმის განვითარებასა და მის ხელშეწყობაზე:

ნინო ჩოხელი, ეკონომისტი - შიდა ტურიზმის განვითარების იდეა მომწონს ,რა თქმა უნდა, მან ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. კარგი იქნება თუ ჩვენს მხარეს მიექცევა დიდი ყურადღება. ბევრი ღირსშესანიშნავი ადგილები გვაქვს, დროა ქიზიყსაც მიაქციონ ამ მხრივ ყურადღება, ჩვენი კუთხის ხალხიც ამოისუნთქებს, ეს ძალიან კარგი და დიდი თემაა მსჯელობისთვის. მაგრამ მთავარი მაინც ამ იდეის განხორციელებაა.

ეკა სეფიაშვილი, პედაგოგი - დღეს ტურიზმი ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა საქართველოში, ამიტომ მისი განვითარებისთვის ყველა სექტორმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს. ეს საკითხი სკოლებსაც გარკვეული გამოწვევის წინაშე აყენებს. სკოლა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებაში. მოსწავლეები ეცნობიან ქვეყნის კულტურულ ღირებულებებს, ღირსშესანიშნაობებს. განსაკუთრებით ნაყოფიერია სასკოლო ექსკურსიები, როგორც ადგილობრივ სივრცეში, ასევე საქართველოს მასშტაბით. არაერთი პროექტი განხორციელებულა ჩვენს სკოლაში რაიონის ტურისტული ადგილების ათვისების მიზნით. სასკოლო პრეზენტაციებით, ბუკლეტების შექმნით და სოციალური ქსელში პროექტების განთავსებით მოსწავლეები სწავლობენ საკუთარი ქვეყნის მდიდარი და მრავალფეროვანი ღირებულებების ფართო საზოგადოებისთვის წარდგენას. ეს კი უკვე სამომავლოდ, ნაბიჯ-ნაბიჯ ამზადებს მოსწავლეებს ამ მიმართულების განვითარებისთვის საკუთარი როლის გაცნობიერებაში.

ნათია თამარაშვილი, კომპიუტერული პროგრამების სპეციალისტი - საქართველო იმდენად ლამაზია თავისი ღირსშესანიშნაობებით, რომ დიდი სიამოვნებით ვიმოგზაურებდი ჩემს ოჯახთან ერთად. სულ იმას ვამბობ, რომ ქართველების უმეტესობას დღეს საზღვარგარეთ უფრო მეტი ღირსშესანიშნავობა აქვს ნანახი, ვიდრე საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე. ჩვენ იმდენად მდიდარი და ლამაზი ქვეყანა გვაქვს, როგორ შეიძლება არ მოგიხდეს მისი ყოველი კუთხე-კუნჭულის შეცნობა. კარგი იქნებოდა იგეგმებოდეს ტურები, იქმნებოდეს ჯგუფი და ახალგაზრდობას აცნობდეს ჩვენს ღირსშესანიშნაობებს. იგეგმებოდეს ტურები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მე მხოლოდ მოხარული დავრჩებოდი, რადგან სამი შვილი მეზრდება და ძალიან მინდა ჩემმა შვილებმა შეიცნონ საკუთარი ქვეყანა.

ანა ლოლაშვილი, სტუდენტი - მივესალმები შიდა ტურიზმის განვითარებას. ის რესურსი, რაც საქართველოს გააჩნია, ბოლომდე უნდა იქნას ათვისებული და რეალიზებული. მიმაჩნია, რომ ამ საკითხის წამოჭრა და ხელშეწყობა უთუოდ დადებითად იმოქმედებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზეც. ხშირ შემთხვევაში გარკვეული პროდუქციის ფასები მორგებულია ტურისტებზე და სრულიად შეუსაბამოა საქართველოს მოქალაქისთვის. ამიტომ თუ მსგავსი პრობლემები გადაიჭრება, ვფიქრობ, ბევრი ადამიანი დაინტერესდება შიდა ტურიზმით, რაც დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზეც. აქვე, ვისურვებდი, რომ დედოფლისწყაროშიც დაიწყოს აქტიურად ამ კუთხით მუშაობა, რადგან ხორნაბუჯის ციხე (და არა მარტო, თუნდაც „ქოჩების ტბა“) იმდენად, რამდენადაც მნიშვნელობითა და მთელი თავისი ღირსებებითაა გამორჩეული, სრულიად მოუვლელია. ამიტომ, თუ ასეთ ღირსშესანიშნავ ძეგლს დაეთმობა მეტი ყურადღება, არც ჩვენი მხარე იქნება გამონაკლისი შიდა ტურიზმის განვითარების საკითხში.

ნონა პოპიაშვილი, პედაგოგი - მივესალმები შიდა ტურიზმის განვითარების იდეას. მე, როგორც პედაგოგი, ყოველთვის ყურადღებას ვამახვილებ ჩვენი სამშობლოს ღირსშესანიშნავ ადგილებზე. დაწყებითი კლასის მოსწავლეები ვამოგზაურე კახეთში, ხოლო ვიდეო-კოლაჟის საშუალებით გავაცანი საქართველოს დანარჩენი კუთხეები, რომელთა მომავალში მონახულების სურვილი ბავშვებმა აქტიურად გამოთქვეს. ჩვენ ვცხოვრობთ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში, სადაც „მთაც ლამაზია, ბარიც ლამაზი, ცა ფიროსმანის მოხატულია“ როგორ შეიძლება არ მოინახულო და არ დააფასო საქართველოს ისტორიული ადგილები. ნებისმიერმა ქართველმა, უპირველეს ყოვლისა, თავის ქვეყანაში უნდა იმოგზაუროს და მერე მოინახულოს მსოფლიოს სხვა ქვეყნები. მე და ჩემმა მეგობრებმა გადავწყვიტეთ, ყოველ ზაფხულს მოვინახულოთ საქართველოს რომელიმე მთიანი რეგიონი და გავეცნოთ მათ ტრადიციებს.

დასასრულს, ვუერთდები რა ჩვენი ძვირფასი საზოგადოების პათოსს შიდა ტურიზმის სწრაფ, გარდაუვალ განვითარებასთან დაკავშირებით, მივიჩნევ, რომ იგი სავალდებულო უნდა გახდეს არა მხოლოდ რიგითი მოქალაქეებისა და ოჯახებისთვის, არამედ საჯარო დაწესებულებებისა და საგანმანათლებლო სექტორისთვისაც, რათა ამაღლდეს როგორც მოსახლეობის ცნობიერების ხარისხი, ასევე ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ნიშნულიც.

ელზა ხარაშვილი

WIZZ-AIR -ის საჰაერო ბაზის ბედი საქართველოში

მსოფლიო პანდემიისას შეჩერებული საჰაერო მიმოსვლის ფონზე, ბოლო დროს აქტიურად განიხილება საკითხი საქართველოდან Wizz-air-ის, ერთ-ერთი დაბალბიუჯეტიანი ავიაგადამყვანის გასვლის შესახებ.

„ჩვენ არ ვაუქმებთ და არ ვხურავთ ქუთაისის ბაზას და ამ ეტაპზე არ გვაქვს არანაირი გეგმა, რომ ქუთაისში ჩვენი ბაზა დავხუროთ. ჩვენ დროებით ვაუქმებთ ოპერირებას“, - ამის შესახებ კომპანია Wizz air-ის კომუნიკაციების ხელმძღვანელმა ანდრას რადომ განაცხადა.

მისივე თქმით, დიდი ალბათობით, ფრენები მომავალი წლის ზაფხულამდე (კომპანიის განმარტებით, იგულისხმება ზაფხულის სანავიგაციო სეზონი, რომელიც 28 მარტიდან იწყება და ოქტომბრის ბოლომდე გრძელდება) იქნება შეჩერებული არსებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, თუმცა მან ასევე განაცხადა, რომ კომპანია მზად არის ოპერაციების განსაახლებლად, როგორც კი შესაბამისი პირობები იქნება. **„დროებით შეჩერება, სამწუხაროდ, მოგვიხდა ვირუსიდან გამომდინარე, რადგან პანდემია აქტიურად გავრცელდა უკვე უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში. მუშაობა დროებით შეჩერებული იქნება იქამდე, სანამ მომავალ მითითებებს არ მივიღებთ. აუცილებლად გაცნობებთ, როდესაც ამ გადაწყვეტილების შეცვლა მოხდება. სავარაუდოდ, ოპერაციები მომავალ ზაფხულამდე იქნება შეჩერებული, რადგან ჩვენ არ ვიცით, როდის დასრულდება შეზღუდვები. თუ არაფერი მეშლება, ჩვენ ახლა არ გვყავს თვითმფრინავები ქუთაისის ბაზაში. ისინი სხვაგან განვათავსეთ ჩვენსავე ქსელში და როგორც კი ქუთაისში ოპერაციები განახლდება, რა თქმა უნდა, თვითმფრინავებს უკან დავაბრუნებთ. იქამდე კი სხვა გამოსავლებს ვეძებთ საერთაშორისო და ადგილობრივი შეზღუდვების გათვალისწინებით, შეგვეძლება თუ არა რაიმე სახის ფრენის განხორციელება ქუთაისში. „ვიზეარი“ აკვირდება საერთაშორისო დონეზე და საქართველოში განვითარებულ მოვლენებს. ჩვენ განვაახლებთ ფრენებს, როგორც კი პირობები ამის შესაძლებლობას მოგვცემს. რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა დავემორჩილოთ ყველა იმ წესს, რომელსაც საერთაშორისო თუ ადგილობრივი ხელისუფლებები აწესებენ. იმედი გვაქვს, რომ საქართველოში ფრენებს შეძლებისდაგვარად სწრაფად განვაახლებთ,“** - განაცხადა კომპანიის კომუნიკაციების ხელმძღვანელმა.

„ვიზეართან“ დაკავშირებულ მიმდინარე პროცესებს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს **„საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ ხელმძღვანელი** თამარ არჩუაძე გამოეხმაურა. იგი უარყოფს ინფორმაციას, რომ ავიაკომპანია Wizz air-ი საქართველოს ბაზრიდან გადის. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებიდან“ აცნობეს. თამარ არჩუაძის განმარტებით, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი ავიაკომპანია „ვიზეარის“ ბაზირების აეროპორტად რჩება. მისი თქმით, Wizz Air-ი საქართველოს მიმართულებით ავიამიმოსვლას მაშინვე განაახლებს, როგორც კი საქართველო საერთაშორისო რეგულარული ფრენებისთვის გაიხსნება. ეს ყველაფერი კი, იმ ქვეყნებში არსებულ ეპიდსიტუაციაზე იქნება დამოკიდებული, სადაც ავიაკომპანია ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან რეგულარულ ფრენებს ახორციელებს. **„ხომალდის ბაზირების თემა ავიაკომპანიისა და აეროპორტის ურთიერთანამშრომლობის საგანია, რომელსაც მგზავრი საკუთარ თავზე ვერ გრძნობს. როგორც კი საქართველოდან საერთაშორისო რეგულარულ ფრენებზე შეზღუდვები მოიხსნება, ავიაკომპანია Wizz Air-ი, ქუთაისიდან ოპერირებას განაახლებს. ავიაკომპანია რეისებს განახორციელებს იმ მიმართულებებზე, რა მიმართულებებზეც ფრენები იქნება დაშვებული. ეს ყველაფერი კი დამოკიდებულია ეპიდსიტუაციაზე“** -განაცხადა თამარ არჩუაძემ. რაც შეეხება ბაზებს, მისი თქმით, ეს არის წმინდა ტექნიკური მექანიზმი, თუ სად ჰყავს საჰაერო ხომალდი ავიაკომპანიას. **„პანდემიის პერიოდში, ვიზეარის საჰაერო ხომალდები კომპანიის ცენტრალურ ბაზაზე, ბუდაპეშტში განთავსდა, ხოლო ფრენების განახლების შემდეგ ბაზირებული საჰაერო ხომალდები ეტაპობრივად ბრუნდება, იმ ქვეყნებში, სადაც კომპანიას ბაზა გააჩნია. შემცირებული ფრენების ფონზე არამხოლოდ Wizz Air-ი, არამედ მსოფლიოს სხვა ავიაკომპანიები, იღებენ გადაწყვეტილებას, რომ თვითმფრინავები ჰყავდეთ მაქსიმალურად დატვირთულ წერტილში, ანუ იქ სადაც საჰაერო ხომალდი 24 საათის განმავლობაში იქნება დატვირთული“**,- განმარტავს არჩუაძე.

შეგახსენებთ, რომ ავიაკომპანია Wizz Air-ის დაარსების გეგმას 2003 წლის ივლისში ჩაეყარა საფუძველი, როცა ავიაგადაყვანა-გადაზიდვების სფეროში მდიდარი გამოცდილებისა და წარმატებული ნამსახურობის ნუსხის მქონე ექვსი ადამიანი კომპანიის მთავარ აღმასრულებელ დირექტორთან, ჯოზეფ ვარადისთან ერთად, ერთ გუნდად შეიკრა. სულ რაღაც სამ თვეში, Wizz Air რეგისტრირებული კომპანიად იქცა, რომელიც ფრენების შესასრულებლად მზად იყო. პირველი ავიარეისი 2004 წლის 19 მაისს, კატოვიცედან განხორციელდა. დღეს Wizz Air დაფრინავს 600-ზე მეტ მარშუტზე და რეგიონში აქვს 25 ბაზა: **ვენა ავსტრიაში; ტუზლა ბოსნია და ჰერცეგოვინაში; სოფია და ვარნა ბულგარეთში; ქუთაისი საქართველოში; ბუდაპეშტი და დებრეცენი უნგრეთში; რიგა ლატვიაში; ვილნიუსი ლიეტუვაში; სკოპიე ჩრდილოეთ მაკედონიაში; კიშინიოვი მოლდოვაში; კატოვიცე, ვარშავა, გდანსკი, პოზნანი და ვროცლავი პოლონეთში; ბუქარესტი, კლუჟ-ნაპოკა, კრაიოვა, იასი, სიბიუ და ტიმიშოარა რუმინეთში; ბელგრადი სერბეთში; ლონდონ-ლუტონი გაერთიანებული სამეფოში; კიევი უკრაინაში.** მდგრადი განვითარების ათწლეულის შემდეგ კომპანია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში უმსხვილეს ბიუჯეტურ ავიაკომპანიად იქცა.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

სკოლებში დაბრუნება პანდემიის შემდეგ

უკვე ცნობილია, რომ ახალი კორონავირუსი ასე ადვილად არ გაივლის, გარკვეული შეზღუდვები ისევ დაგვჭირდება და ონლაინ სწავლება სკოლებში მხოლოდ გასული გაზაფხულის სემესტრით არ შემოიფარგლება.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ სკოლებს მომავალი სასწავლო წლისთვის გაკვეთილების ჩატარების სხვადასხვა ფორმატი შესთავაზა, საიდანაც სკოლებმა უნდა შეარჩიონ, რომლის მიხედვით იმუშავებენ. სამინისტროს შეთავაზების მიხედვით, თითოეულმა სკოლამ უნდა შეიმუშაოს მის შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე მორგებული საგაკვეთილო ცხრილი შემდეგი ვარიანტებიდან: **შესაძლოა ერთცვლიანი სკოლები გადავიდნენ 2 ცვლაზე და სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებმა იარონ ცვლების მიხედვით; შესაძლოა სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებმა იარონ დღეების მონაცვლეობით; ერთცვლიანი და ორცვლიანი სკოლებისთვის მოსწავლეთა რაოდენობა განახევრებულია; ერთცვლიანი სკოლებისთვის მოსწავლეთა რაოდენობა გამეოთხედებულია. სასწავლო წლის პირველი კვირა უნდა დაეთმოს ჰიგიენისა და უსაფრთხოების წესების გაცნობას მოსწავლეებისა და მშობლებისთვის. წესები შეიძლება გააცნონ დამრიგებლებმა, მანდატურებმა და/ან უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელმა პირებმა.**

ცვლილებაა მოსწავლეთა შეფასებაშიც. სამინისტროს ცნობით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს კომპლექსური დავალებების კეთებას, რაც იძლევა საშუალებას, გაკვეთილების ნაცვლად ზოგჯერ დაინიშნოს საკონსულტაციო საათები დისტანციურად.

ცვლილება უნდა შევიდეს ესგ-ის იმ ნაწილში, სადაც საუბარია შეფასების სავალდებულო კომპონენტებზე (საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი). სკოლას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, მოსწავლეები შეაფასოს მხოლოდ შემაჯამებელი შეფასებით, საკლასო და საშინაო დავალების კომპონენტები იყოს სკოლის სურვილის მიხედვით (რომელიმე კლასში ან კლასებში, ერთ საგანში ან საგნებში). რაც შეეხება, სასწავლო შინაარსს, ყველა კლასისა და საგნის მასწავლებელმა წინასწარ განსაზღვროს პირველი და მეორე სემესტრის განმავლობაში სასწავლო მსხვილი თემები და მათთან დაკავშირებული კომპლექსური/შემაჯამებელი დავალებები.

როგორც ქართველი ინფექციონისტები აცხადებენ, მსოფლიოში არსებული ეპიდემიური სიტუაციიდან გამომდინარე შესაძლოა კვლავ დაგვჭირდეს გარკვეული შეზღუდვების დაწესება და ეს სკოლებსაც შეიძლება ისევ შეეხოს. როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა **ამირან გამყრელიძემ** აღნიშნა, **დღევანდელი მოცემულობით სკოლებში სწავლის გადადების საშიშროება არ არის.** მაგრამ გვაფრთხილებენ, რომ სიტუაცია შეიძლება ნებისმიერ დროს შეიცვალოს, ამიტომაც სასწავლებლები ამისთვის მზად უნდა იყვნენ.

რამდენიმე სკოლაში უკვე ისაუბრეს ამ საკითხზე და როგორც ერთ-ერთი მასწავლებელი აღნიშნავს, უკვე შეჯერდნენ შერეულ ვარიანტზე, რომელიც რამდენიმე დღე სკოლაში სწავლებას და რამდენიმე დღე დისტანციურ სწავლებას ითვალისწინებს. **„ორცვლიანი სწავლების შემთხვევაში, მასწავლებლებს მოგვიწევს დილიდან საღამომდე სკოლაში ყოფნა. თუ მაგალითად ორ კლასს დილით ჩავუტარებ გაკვეთილს და სამს-მეორე ცვლაში, გამოდის ჩემი სკოლაში ყოფნის დრო გაიზრდება. ეს კი აისახება თუ არა ჩემი შრომის ანაზღაურებაზე, ამას არავინ ამბობს. მე ვფიქრობ, ასეთ შემთხვევაში ორცვლიან სწავლებას არავინ აირჩევს“,** - ამბობს მასწავლებელი.

დისტანციური სწავლების არჩევის შემთხვევაში, სკოლას მოუწევს იმ პრობლემებთან გამკლავება, რომელიც მოსწავლე-მასწავლებლებისთვის ინტერნეტით და კომპიუტერით უზრუნველყოფას გულისხმობს. უინტერნეტობა და უკომპიუტერობა ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევა იყო ონლაინ სწავლების დროს სკოლებისთვის და განათლების სამინისტროსთვის. როგორ აპირებს უწყება ამ პრობლემის მოგვარებას, თუ ისევ დისტანციურ სწავლებაზე გადავა ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებები და უმაღლესი სასწავლებლები, ჯერჯერობით უცნობია.

EDU.ARIS.GE-მ კიდევ ერთ მასწავლებელთან გაარკვია, რომ სკოლამ, სადაც ის მუშაობს, გადაწყვიტა, დაწყებით კლასებს ონლაინ ასწავლოს, ხოლო მაღალი კლასების მოსწავლეებმა სკოლაში იარონ. **„გაცილებით რთულია პატარებისთვის ონლაინ სწავლება, როცა არ აქვთ კომპიუტერთან და ინტერნეტთან მუშაობის შესაბამისი უნარები. როგორ უნდა ავუხსნა და ვასწავლო პირველ კლასელებს ონლაინ ანბანი? ჩემთვის ეს რთულია. თუ არ გამოუწერე, არ აჩვენე როგორ იხაზება ესა თუ ის ასო, ბავშვი როგორ ისწავლის? სამწუხაროდ, არანაირი ტრენინგი არ ჩაგვტარებია მასწავლებლებს, რომელიც ონლაინ სწავლებაში დაგვეხმარებოდა. ჩვენც გვჭირდება შესაბამისი უნარების გამომუშავება. დისტანციური სწავლება მხოლოდ კომპიუტერის მოხმარების წესების ცოდნას ხომ არ გულისხმობს? ჩემი აზრით, შესაბამისი მეთოდიკაც შესამუშავებელია“,** -უთხრა EDU.ARIS.GE-ს მასწავლებელმა.

მცირეკონტიგენტიანი სკოლები, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა ცოტაა, სხვა მიდგომას საჭიროებენ. როგორც ამ სკოლების წარმომადგენლები აცხადებენ, მათ არ გაუჭირდებათ დისტანციის დაცვა. სამინისტროს ინფორმაციით, ისინი სწავლების მათთვის საუკეთესო ფორმატს აირჩევენ, რომელიც განსხვავებული იქნება დიდკონტიგენტიანი სკოლებისგან. მცირეკონტიგენტიან სკოლებს და არა მარტო მათ, დისტანციის დაცვასთან ერთად, ჰიგიენური ნორმების დაცვაც მოეთხოვებათ. როგორ მოხერხდება ეს, როცა, მაგალითად, სოფლის სკოლებში საპირფარეშოები, ხშირ შემთხვევაში, სკოლის შენობის გარეთ არის და შესაძლოა სკოლაში წყალიც არ იყოს, უცნობია. თბილი წყლის არსებობაზე აღარაა საუბარი, რაც ასე აუცილებელია ვირუსთან საბრძოლველად. სკოლებს ასევე მოუწევთ ჰიგიენური საშუალებების შეძენა. რა თანხით მოახერხებენ ამას, გამოყოფს თუ არა სამინისტრო ანტისეპტიკური საშუალებებისთვის, საპნისთვის და სხვა ჰიგიენური საშუალებებისთვის თანხას, ესეც უცნობია.

სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ და განათლების მინისტრის მოადგილე ნუნუ მიცკევიჩმა კომენტარი მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ გააკეთეს. ამირან გამყრელიძის შეფასებით, სასწავლო წლის დაწყებას საფრთხე არ შეექმნება, თუ დღეს არსებული ეპიდსიტუაცია შენარჩუნდება. **„სასწავლო პროცესის დაწყებას წყვეტს საკოორდინაციო საბჭო. რამდენიმეჯერ განვაცხადე, რომ თუ ჩვენ შევინარჩუნებთ სექტემბრისთვის იმ ეპიდსიტუაციას რაც დღეს გვაქვს ქვეყანაში, ამ დღეებში მოგეხსენებათ ფიქსირდება ერთეული და ან 2 ათეული ახალი შემთხვევა ყოველდღიურად. ეს საფრთხეს არ წარმოადგენს არც ეროვნული გამოცდების ჩატარებისთვის, არც სასწავლო პროცესის და არც სხვა ღონისძიებების ჩატარებისთვის“,** განაცხადა ამირან გამყრელიძე.

აღნიშნულ საკითხზე ისაუბრა ჟურნალისტებთან განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე **ნუნუ მიცკევიჩმა** და აღნიშნა, რომ სექტემბერთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება ამ ეტაპზე ნაადრევია. თუმცა ჟურნალისტის კითხვაზე, შეუქმნის თუ არა, კორონავირუსის შემდეგ აღმოჩენილი ახალი ვირუსი საფრთხეს სასწავლო წლის დაწყებას, მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე არ არსებობს ახალი ვირუსის ისტორია და მასთან ბრძოლის გამოცდილება, თუმცა სამინისტრო ყველა იმ რეკომენდაციას გაითვალისწინებს, რომელსაც აღნიშნულ ვირუსთან დაკავშირებით გასცემს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია. **„გასაგებია, რომ ინტერესი მაღალია სასწავლო პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით. როგორც უკვე მოგახსენეთ ჩვენ ინტენსიურად ვმუშაობთ ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად. ძალიან ნაადრევი იქნება დღეს ვისაუბროთ სექტემბერის სიტუაციასთან დაკავშირებით. როგორც მოგეხსენებათ, ეს არის საერთოდ ახალი ინფექციური დაავადება, მას არ აქვს ისტორია და ჩვენ არ გვაქვს გამოცდილება, არ ვიცით პრევენციულად რა ზომების მიღება დაგვჭირდება. თუმცა, ისევე როგორც ეროვნული გამოცდების შემთხვევაში, თქვენ იცით რომ კონდიციონერის ჩართვა საერთოდ არ იყო რეკომენდირებული, მაგრამ განათლების სამინისტრომ იზრუნა და შეძენილია ახალი კონდიციონერებიც კი და თითოეული სექტორი აღჭურვილია კონდიციონერით. ამ ინფორმაციას ვაზუსტებ, რადგან იგივენაირად, ინფრასტრუქტურულად რა რეკომენდაციებიც იქნება გაცემული, იმაზე მაქსიმალური დაცვით შევეცდებით უზრუნველყოთ და თადარიგი დავიჭიროთ, რომ ჩვენი მოსწავლეების თუ სტუდენტების ჯანმრთელობა იყოს დაცული და დავახვედროთ უსაფრთხო გარემო. როგორიც იქნება სიტუაცია და რეკომენდაციები, უწყება გიდასტურებთ მზაობას, რომ ჩვენ შევასრულებთ ყველა იმ საერთაშორისო რეკომენდაციას, რომელიც ასევე ჩვენი ჯანდაცვის სამინისტროსგან იქნება გაწერილი“,** - განაცხადა ნუნუ მიცკევიჩმა.

სკოლები დისტანციური სწავლების რეჟიმზე 2020 წლის მარტის ბოლოდან გადავიდნენ და სასწავლო სემესტრიც ასევე ონლაინ დაასრულეს. განსაკუთრებით მოსწავლეებს არ მოსწონდათ მასწავლებლებისგან და კლასელებისგან დაშორება და დისტანციურად სწავლება. „სკოლა მომენატრა“, „სკოლაში კარგია“, არ მომწონს, რომ კლასელებთან შეხვედრის საშუალება არ მაქვს“, ხშირად მოისმენდით ამ ფრაზებს ბავშვებისგან. სექტემბერში სკოლებში სწავლის განახლებაზე, როგორც აღვნიშნეთ, ქართველი ინფექციონისტების პროგნოზი საიმედოა, დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

მოამზადა
ხათუნა გენაშვილმა

ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის გუნდმა ბლოგების კონკურსში პირველი ადგილი მოიპოვა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლა ყურადღების ეპიცენტრშია. 19 მაისს გახდა ცნობილი საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებული ბლოგების კონკურსის - „ჩვენი ენა ქართული“ შედეგები.

„სიამაყით ვაცხადებთ, რომ საქართველოს მასშტაბით პირველი ადგილი სწორედ ჩვენი სკოლის გუნდმა აიღო, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა მეათე კლასის სამი მოსწავლე: ლიზა მაძღარაშვილი, ჯაბა ჯამასპიშვილი და ალექსანდრე ნასრაშვილი.

სკოლა დიდ მადლობას უხდის მათ შრომისთვის და ასევე მათ ხელმძღვანელს, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგს, მანანა ყოჩიაშვილს.“

დაჯილდოება გაიმართება სექტემბრის თვეში. გამარჯვებულებს პრიზის სახით გადაეცემათ 700 ლარიანი ვაუჩერი ტექნიკის მაღაზიაში.

აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად გადადებული სასწავლო წლისა, კარანტინის რეჟიმისა, ამ „ოთხეულმა“ მაინც შეძლო, გაიარა შესარჩევი ეტაპი სკოლაში, რესურსცენტრში, აიყოლია სკოლის სხვა მოსწავლეები, გავიდა თემში და საბოლოოდ მიაღწია მიზანს.

კიდევ ერთხელ ვულოცავთ და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს”,- წერია სკოლის ინფორმაციაში.

პარლამენტმა „საარჩევნო კოდექსში“ ცვლილებები დაამტკიცა

პარლამენტმა „საარჩევნო კოდექსში“ შესატანი ცვლილებების პროექტი მესამე მოსმენით (94 მომხრე, ერთი წინააღმდეგი) დაამტკიცა. პროექტი საარჩევნო კამპანიასთან და არჩევნების ჩატარების პროცედურებთან დაკავშირებით მთელ რიგ ცვლილებებს ითვალისწინებს.

ცვლილებების თანახმად, კენჭისყრის დღეს, სააგიტაციო მასალის განთავსება, საარჩევნო უბნის გარდა, შენობის შესასვლელიდან 25 მეტრის რადიუსშიც აკრძალული ხდება. აკრძალული ხდება კენჭისყრის შენობაში ან ამ შენობიდან 25 მეტრის მანძილზე ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხებაც. ეს აკრძალვა არ შეეხება ეგზიტპოლის მიზნით განხორციელებულ საქმიანობას.

რაც შეეხება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების პრევენციისთვის გატარებულ ცვლილებებს, ფართოვდება იმ პირთა წრე, რომელთაც წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა და მასში მონაწილეობა ეკრძალებათ. პროექტის მიხედვით, **წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აღარ ექნებათ საჯარო სკოლების პედაგოგებს, სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას, ასევე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო იურიდიული პირების თანამშრომლებს.** ამასთან, საარჩევნო კოდექსს ემატება ჩანაწერი, რომელიც არჩევნებამდე 2 თვით ადრე სამინისტროებსა და სხვა სახელმწიფო უწყებებს შეუზღუდავს განხორციელებული პროექტების შესახებ სარეკლამო ვიდეო რგოლების განთავსებას.

ცვლილებების პროექტის თანახმად, არჩევნების მეორე ტური გაიმართება არჩევნებიდან მე-3 შაბათს და მას განკარგულებით ნიშნავს ცესკო. თუ მეორე ტურში მონაწილე ერთ-ერთმა საარჩევნო სუბიექტმა დაკარგა პასიური საარჩევნო უფლება, ასეთ შემთხვევაში მეორე ტური არ გაიმართება და ცესკოს მიერ გამარჯვებულად ცხადდება მეორე საარჩევნო სუბიექტი.

კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს მედია-კამპანიისა და პოლიტიკური სუბიექტებისთვის დათმობილი საეთერო დროის მიმართულებით მთელ რიგ ცვლილებებს. პროექტის თანახმად, ტელე-ან რადიოკომპანიის მიერ 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო არ უნდა აღემატებოდეს მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს და არცერთ საარჩევნო სუბიექტს არ უნდა დაეთმოს ამ დროის ერთ მესამედზე მეტი. ფასიანი დროის ტარიფი ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის ერთნაირი უნდა იყოს.

მაუწყებლის მიერ ფასიანი რეკლამის განთავსებისათვის გადახდილ საფასურზე მეტი დროის დათმობა შესაბამისი (რეკლამის დამკვეთი) სუბიექტისათვის, ან უფასო რეკლამის განთავსებისას საარჩევნო სუბიექტისათვის კანონმდებლობით განსაზღვრულ დროზე მეტის დათმობა, ჩაითვლება უკანონო შემოწირულობად. აკრძალულ შემოწირულობად იქნება მიჩნეული დაუსაბუთებელი შემოსავლით გაკეთებული შემოწირულობაც.

წარმოდგენილი ცვლილებებით, არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტები ვეღარ შეძლებენ, მედიაში ერთმანეთზე პოზიტიური საარჩევნო რეკლამის განთავსებას. უფრო კონკრეტულად, დაუშვებელი იქნება ერთი საარჩევნო სუბიექტის მიერ სარეკლამო დროის ფარგლებში ისეთი რეკლამის განთავსება, რომელიც სხვა საარჩევნო სუბიექტის სააგიტაციო მიზნებს ემსახურება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, **მედია საშუალებას საარჩევნო უბანში ნაცვლად 3 - ისა, 2 წარმომადგენლის ყოლის უფლება ექნება. ტელე და რადიო მაუწყებლის მიერ საზოგადოებრივი აზრის გმოკითხვის შედეგების კანონით დადგენილ ვადაზე ადრე გამოქვეყნებაზე ჯარიმა იზრდება. კერძოდ, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნებასთან დაკავშირებული წესების დარღვევა გამოიწვევს მაუწყებლის დაჯარიმებას 5 000 ლარით. სხვა მედიიის საშუალებისთვის ჯარიმის ოდენობა კვლავ 1 500 ლარი იქნება.**

ამასთან, ცვლილებების თანახმად, საზოგადოებრივ მაუწყებელი უფლებამოსილია კვალიფიციური პარტიების გარდა, დებატებში მიიწვიოს არჩევნებში მონაწილე არაკვალიფიციური სუბიექტებიც. **კანონში აღარ იქნება ასახული ნორმა, რომლის თანახმად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ენიჭება ფართო დისკრეციული უფლებამოსილება მედიის ფინანსური საქმიანობის რეგულირებისა და კონტროლის კუთხით. შესაბამისად, პროექტში აღარც სანქციაა გათვალისწინებული.**

ცვლილებების თანახმად, ზუსტდება საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საუბნო კომისიის წევრთა არჩევის პროცედურები. კერძოდ, საუბნო საარჩევნო კომისიებში არაპარტიული ნიშნით წევრთა არჩევა მოხდება შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის არაპარტიული ნიშნით არჩეულ წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერით. ამასთან, საუბნო კომისიებთან მიმართებით ფართოვდება ჩანაწერი ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვაზე. უფრო კონკრეტულად, თუკი **საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატის ოჯახის წევრია, მას არჩევის პროცედურაში მონაწილეობის უფლება ეკრძალება.** კანონპროექტის თანახმად, ოჯახის წევრად მიჩნეულია: მეუღლე, პირდაპირი აღმავალი ან დამავალი შტოს ნათესავი, გერი, და, ძმა, მშობლის ან შვილის გერი, მეუღლის და, ძმა, მშობელი. ასევე, დაუშვებელი ხდება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად იმ პირის არჩევა, რომელიც ბოლო საერთო არჩევნებში ნებისმიერი დონის საარჩევნო კომისიის წევრად დანიშნული იყო პოლიტიკური პარტიის მიერ.

ცვლილებები ეხება გენდერული კვოტირების საკითხებსაც. კერძოდ, 2028 წლამდე ჩასატარებელ საპარლამენტო არჩევნებში პარტიამ ცესკოს თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს ისეთი პარტიული სია, რომლის ყოველ ოთხეულში ერთი კანდიდატი მაინც იქნება განსხვავებული სქესის წარმომადგენელი, ხოლო 2028 წლიდან 2032 წლამდე ჩასატარებელ საპარლამენტო არჩევნებში პარტია ვალდებული იქნება, ცესკოსთვის წარდგენილ სიაში ყოველი სამი კანდიდატიდან ერთი მაინც იყოს განსხვავებული სქესის.

აღსანიშნავია, რომ პარტია, რომელიც 2028 წლამდე ჩატარებული პარლამენტის არჩევნების საფუძველზე იღებს დაფინანსებას, მიიღებს ასევე დანამატს მისაღები დაფინანსების 30%-ის ოდენობით, თუ მის მიერ პარლამენტის ბოლო არჩევნებზე წარდგენილ პარტიულ სიაში, ყოველ სამეულში ერთი კანდიდატი მაინც განსხვავებული სქესისაა. დანამატი პარტიის ქალთა ორგანიზაციის საქმიანობისთვის უნდა იყოს გამოყენებული.

ცვლილებების თანახმად, ბლოკში შემავალი პარტიების სახელმწიფო დაფინანსების განაწილების წესი ბლოკის წესდებით შეიძლება განისაზღვროს.

საარჩევნო კოდექსის პროექტით გათვალისწინებულია საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებში ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველთა მონაწილეობის დროებითი წესის განსაზღვრა. აღნიშნულის თანახმად, **საარჩევნო უბნების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად მოხდება შშმ პირთათვის უბნების ადაპტირება - თითოეულ ოლქში არანაკლებ 4-4 უბანი ეტლით მოსარგებლეთათვის.**

ზემოაღნიშნული ცვლილებების გარდა, საარჩევნო კოდექსი შესაბამისობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციასთან. კერძოდ, კოდექსში მოხდება საარჩევნო სისტემის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების ასახვა, რაც გულისხმობს: 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შერეული საარჩევნო სისტემითა (120 პროპორციული, 30 მაჟორიტარული) და 1%-იანი ბარიერით ჩატარებას; ე.წ. 40%-იან ჩამკეტ მექანიზმს; გაუნაწილებელი მანდატების განაწილებას უდიდესი ნაშთს მქონე პოლიტიკურ პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებზე.

მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

დედოფლისწყაროს საავადმყოფო განმარტებას აკეთებს

უბედური შემთხვევიდან ზუსტად ერთი თვის თავზე დედოფლისწყაროს სოფელ ხორნაბუჯში მცხოვრები 15 წლის ანი ზოროლლიანი გარდაიცვალა. გოგონა ამ დრომდე თბილისის რეფერალურ საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფებოდა. დედოფლისწყაროს სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმე იყო და ამ ხნის განმავლობაში ხელოვნური სუნთქვის აპარატზე იყო მიერთებული.

უბედური შემთხვევა ქალაქ დედოფლისწყაროში 30 მაისს მოხდა, მოზარდის გარდაცვალება კი 30 ივნისს დაფიქსირდა. როგორც თვითმხილველები გაზეთ „შირაქთან“ ამბობენ, გოგონა დედოფლისწყაროში ღამით სეირნობის დროს ველოსიპედიდან გადმოვარდა, დაეცა და თავის ტრავმა მიიღო.

მისი ახლობლები იხსენებენ, რომ დაცემიდან რამდენიმე საათში არასრულწლოვან გოგონას ცნობიერება ჰქონდა და გონება გვიან ღამით დაკარგა. სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურმა თავდაპირველად ის დედოფლისწყაროს საავადმყოფოში მოათავსა, შემდეგ კი კატასტროფის ცენტრის ეკიპაჟის გამოძახებისა და გოგონას თბილისში გადაყვანის აუცილებლობა დადგა. გარდაცვლილის დის განცხადებით, კატასტროფის ცენტრი ოჯახის დაჟინებული მოთხოვნით გამოიძახეს.

15 წლის გოგონას გარდაცვალების გარემოებებზე განმარტებები გაკეთდა რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის დედოფლისწყაროს საავადმყოფოში. ჩვენ მოვიპოვეთ კონკრეტული ჩანაწერები, თუ რა დროს შევიდა არასრულწლოვანი დედოფლისწყაროს საავადმყოფოში, რა ვითარებაში იყო დაშავებული და კონკრეტულად რომელ საათზე გამოიძახეს კატასტროფის ცენტრის ეკიპაჟი.

ოფიციალური ინფორმაციით, პაციენტი ანი ზოროლლიანი დედოფლისწყაროს სტაციონარში 112-ის ბრიგადის მიერ შეყვანილია 30.05.2020 წელს, 23:10 საათზე. სტაბილური ჰემოდინამიკით. პარალელურად, შემთხვევის შესახებ შეტყობინება გადაეცა შს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველოს 23:14 საათზე;

როგორც დედოფლისწყაროს საავადმყოფოში განმარტეს, შემთხვევიდან პირველ საათებში ყველა პაციენტი ტრანსპორტირებადია და მისი სტაციონარში ტრანსპორტირებაც წესების სრული დაცვით მოხდა. მედიკოსების თქმით, შემოსვლისთანავე პაციენტს ჩაუტარდა თავის რენტგენოლოგიური კვლევა და ოტორინოლარინგოლოგის კონსულტაცია;

მორიგე ექიმების მტკიცებით, მართალია, შემოსვლისას პაციენტის მდგომარეობა იყო დამაკმაყოფილებელი, მაგრამ ვინაიდან მიღებული ჰქონდა ქალა-ტვინის დახურული ტრავმა, ანამნეზში გონების დაკარგვის ეპიზოდით, გოგონას ესაჭიროებოდა თავის ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფია გაიდლიან - პროტოკოლის მიხედვით. ამის გამო 31 მაისს, 00:15 საათზე საავადმყოფოს მიერ გამოძახებულ იქნა კატასტროფის ცენტრის ბრიგადა მის გადასაყვანად სპეციალიზებულ კლინიკაში; 01:57 საათზე მოვიდა კატასტროფის ცენტრის (გურჯაანის) ბრიგადა, რომელმაც 02:30 საათზე გადაიყვანა პაციენტი ივ. ბოკერიას სახელობის თბილისის რეფერალურ ჰოსპიტალში, სადაც რეანიმაციულ განყოფილებაში ერთი თვის განმავლობაში კომატოზურ მდგომარეობაში მართვით სუნთქვაზე იმყოფებოდა. მედიკოსების მტკიცებით, კონკრეტული წუთები ფიქსირდება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურშიც, საავადმყოფოს ჟურნალშიც და ელექტრონულ პროგრამაშიც.

მოზარდი 2 ივლისს, დედოფლისწყაროში დაკრძალეს. გაზეთი “შირაქი” თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

გენდერული თანასწორობის შესახებ ანგარიში გამოქვეყნდა

გენდერულ თანასწორობაზე მომზადებული ანგარიში All Things Being Equal უკვე ქართულ ენაზეა ხელმისაწვდომი. ანგარიშზე თინათინ ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით, ევროპის მაუწყებელთა კავშირის გენდერული თანასწორობის ჯგუფი მუშაობდა, რომელიც 11 ქვეყნის წარმომადგენლისგან შედგება.

გენდერული თანასწორობის ანგარიში სახელწოდებით All Things Being Equal საზოგადოებრივი მაუწყებლების ერთგვარი გზამკვლევია, რომელიც აგებულია EBU-ს წევრი ქვეყნების რეალურ მაგალითებზე და მოუწოდებს ევროპის მაუწყებელთა კავშირის წევრ ქვეყნებს, დაიწყონ საკუთარი ორგანიზაციების მონაცემების გადახედვა ამ მიმართულებით და იმოქმედონ გენდერული ბალანსის მისაღწევად.

ანგარიში ევროპის მაუწყებელთა კავშირის 83-ე გენერალურ ასამბლეაზე საქართველოს პირველი არხის გენერალური დირექტორის პირველმა მოადგილემ, თინათინ ბერძენიშვილმა 2019 წლის დეკემბერში წარადგინა.

ანგარიშის წარდგენაში მასთან ერთად მონაწილეობა მიიღეს EBU-ს პრეზიდენტმა/BBC-ის გენერალურმა დირექტორმა ტონი ჰოლმა და EBU-ს გენერალურმა დირექტორმა ნოელ კურანმა.

ევროპის მაუწყებელთა კავშირის გენდერული ბალანსის ჯგუფის ხელმძღვანელად თინათინ ბერძენიშვილი თავად ტონი ჰოლმა წარადგინა და გენერალურ ასამბლეაზე მადლობა გადაუხადა საქმის მაღალ დონეზე შესრულებისთვის. ტონი ჰოლმა ასევე აღნიშნა, რომ ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე მუშაობა 2020 წელსაც აქტიურად გაგრძელდება.

სიკეთე, როგორც მამოძრავებელი ძალა

ალბათ თითოეული ჩვენგანი დაფიქრებულა იმაზე, თუ რა არის ცხოვრების მთავარი არსი? იქნებ, ცხოვრების აზრი სწორედ სიკეთის კეთებაშია, ისეთი სიკეთის, რომელსაც არ ითვლიან, რომლის სამაგიეროსაც არ ითხოვენ?

დედოფლისწყაროში 27 ივნისი სწორედ ასეთი სიკეთისა და ქველმოქმედების დღე იყო. 2 წლის წინ, ავტოსაგზაო შემთხვევის დროს გარდაცვლილი დედოფლისწყაროელი ახალგაზრდის, სოსო ჯალიაშვილის მეგობრებმა საქველმოქმედო აქცია გამართეს, რომელიც მათი მეგობრის სახელს უკავშირდებოდა. აქციის ფარგლებში, ადგილობრივ სამეურნეო საქმიანობაში ჩართული ტექნიკის მძღოლებს საწვავის უფასო ვაუჩერები გადაეცათ. დაახლოებით, 1400 ლიტრი საწვავის ვაუჩერებს ორგანიზატორები რამდენიმე დღის განმავლობაში ზემოთ აღნიშნულ ადამიანებს უფასოდ გადასცემენ. მძღოლებს ვაუჩერების გამოყენება

კომპანია „სოკარის“ ნებისმიერ ავტოგასამართ სადგურზე შეეძლებათ. დედოფლისწყაროში - ქედების ზონა, სამთაწყარო, ქ.დედოფლისწყარო, მუნიციპალიტეტს გარეთ - საგარეჯო, ორგანიზატორებს მსგავსი აქციები სწორედ ამ სოფლებსა თუ მუნიციპალიტეტებში აქვთ ჩატარებული. **„ეს აქცია ჩვენი მეგობრის, სოსო ჯალიაშვილის სახელით ჩატარდა და მის ოქროს იუბილეს მიეძღვნა. გვსურს, რომ ამ მცირედი საქმით მისი სახელი, თავად პიროვნება საზოგადოებას მუდმივად ახსოვდეს და არასოდეს დაივიწყონ. შარშან მისი სახელობის ტურნირი ჩავატარეთ, მედლები და ფულადი ჯილდოებიც გადავეცით გამარჯვებულებს, წელს ეს ვერ მოხერხდა მსოფლიოში არსებული პანდემიის გამო, მაგრამ ვფიქრობთ, გამოსავალი ამ სახით მაინც მოვძებნეთ“-** განაცხადეს გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას აქციის ორგანიზატორებმა: სანდრო ხარაზიშვილმა, ბექა ალუღიშვილმა და ზურა ხოსროშვილმა. მათივე თქმით, ისინი მარტო არ არიან, მათთან ერთად კიდევ ბევრი ადამიანია, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები მსგავსი აქციების ორგანიზებასა თუ განხორციელებაში. **„ძალიან მადლიერები ვართ ამ ახალგაზრდების, რომ ასეთ კარგ საქმეს აკეთებენ და გვეხმარებიან. ეს მადლიერება არამარტო ამ სიკეთისთვისაა, არამედ იმისთვისაც, რომ ისინი არ ივიწყებენ და არც ჩვენ გვაძლევენ იმის უფლებას, რომ მათი მეგობარი და მისი სახელი დავივიწყოთ. გვჯერა, ეს სიკეთე არასდროს დაეკარგებათ“** - აღნიშნეს ადგილზე შეკრებილმა მძღოლებმა. ასევე გეტყვით იმასაც, რომ აქციის ორგანიზატორები და მეგობრები, სოსო ჯალიაშვილის სახელზე ხატის დაწერას აპირებენ, რომელსაც შემდგომ დედოფლისწყაროში მოქმედ ღვთისმშობლის შობის სახელობის სამლოცველო სახლს შესწირავენ.

p.s მიმაჩნია, რომ სიკეთე დიდი მადლია. მგონია, რომ სიკეთის კეთება გვაკეთილშობილებს. გულით და უანგაროდ გაკეთებული სიკეთე კი ათმაგად ღირებულია. სიკეთე გადამდებიცაა, რომლისგან განკურნებაც არავის უნდა სურდეს.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

ულოცავენ!

რუსუდან ლორთქიფანიძეს!

ქალბატონო რუსუდან, გულწრფელად გილოცავთ დამსახურებული ჟურნალისტის წოდების მინიჭებას. წლების განმავლობაში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ერთ-ერთ გამორჩეული და წამყვანი ჟურნალისტი ბრძანდებოდით. მრავალი ჟურნალისტური ჯილდოს მფლობელი, ღირსების ორდენის კავალერი. ამჯამად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ხართ ერთგული მეუღლე და წარმატებული ორი ვაჟის დედა. თქვენი ბრწყინვალე ოჯახის წევრებთან ერთად გისურვებთ ჯანმრთელობას და კვლავაც წარმატებებს თქვენ საქმიანობაში.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების სახელით: ინგა და ირმა შიოლაშვილები, ნაირა გორაშვილი და მაგდა პოპიაშვილი, ნანა ჭიჭინაძე და მარიკა პოპიაშვილი, ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ილია მარტყოფლიშვილი

ყურადღება!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლა

აცხადებს მიღებას 2020– 2021 სასწავლო წლისათვის.

მიიღებიან ბავშვები: საფორტეპიანო და სავიოლინო

განყოფილებებზე **8 წლიდან 12 წლამდე** და სამხატვრო

განყოფილებაზე **10 წლიდან**.
განცხადებები მიიღება 15 სექტემბრამდე. დამატებითი ინფორმაციისთვის
დარეკეთ ტელეფონებზე: 555 45 06 50, 577 17 87 88 ან

მოგვმართეთ მისამართზე: 9 ძმის ქუჩა N2.

იყიდება სასწრაფოდ!

ოროთახიანი ბინა, მეტალოპლასტმასით დახურული ორი აივნით, რომელიც მიერთებულია საერთო ფართთან. აქვს სარდაფი. ბინა გაზიფიცირებულია, წყალ-კანალიზაცია განახლებულია.
მისამართი: დედოფლისწყარო, რუსთაველის ქN44, კორ. 44, ბინა 12, მე-4 სართული (5სართულიანი კორპუსი, რესტორანი „ნიკალას“ წინ). ფასი შეთანხმებით.
საკონტაქტო ტელეფონი: 599 419 117 იკითხეთ ნანა.

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 06.07	სამშაბათი 07.07	ოთხშაბათი 08.07	ხუთშაბათი 09.07	პარასკევი 10.07	შაბათი 11.07	კვირა 12.07
დღე	31°	33°	34°	34°	25°	23°	28°
ღამე	22°	23°	24°	24°	21°	18°	20°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.